სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № T-061501

ქ.თბილისი

2021 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთი მხრივ ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"*** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის ***ანდრო ასლანიშვილის*** სახით, და მეორე მხრივ, ***შპს „ტაინა"*** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ***ვასილი გეთიაშვილის*** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT210009098) ქ. ქუთაისში სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ. კოდით: 03.01.23.333) სასმელი წყლისთვის ჭის მოწყობის სამუშაოების (CPV 45200000; 45255110 - **ჭაბურღილების მშენებლობა**) სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი **6500.00 (ექვსიათას ხუთასი ლარი)** ლარად, დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (დანართი N1) და ფასების ცხრილში/ხარჯთაღრიცხვაში (დანართი N2), რომლებიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

3. **ზოგადი დებულებანი:**

3.1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ტექნიკური დავალება (დანართი №1);

გ) ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა (დანართი №2);

დ) ხელშეკრულების ყველა სხვა დანართი ან/და მასში შემდგომში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება.

3.2. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას.

3.3. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს *6500.00 (ექვსიათას ხუთასი)* ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

4.3. მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით.

4.4. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის გადასინჯვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ამასთანავე დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4.5. ფასების გადასინჯვის შესახებ ხელშეკრულების ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. საკუთარი სახსრებით მიაწოდოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტი ტექნიკური დავალება (დანართი N1) - ის და ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა (დანართი N2) - ის შესაბამისი შესყიდვის ობიექტი.

5.1.2. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები.

5.1.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება და დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, აწარმოოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს) ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი უხარისხო შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის) მიღებაზე.

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებსა და მოთხოვნილ პარამეტრებზე.

6.2. კონტროლის განხორციელების შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს და მიმწოდებლის მიერ მშენებლობის მიმდინარეობას (სატელეფონო, ადგილზე დათვალიერება) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის კოლხეთის რეგიონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის უფროსი - ავთანდილ ქვაჩაკიძე.*

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასა და ხელშეკრულების მოქმედების ვადების კონტროლს განახორციელებს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს მოწვეული სპეციალისტი.*

7. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო სამუშაოების დასრულებიდან არაუმეტეს 35 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილ უნდა იქნას შესრულებული სამუშაოების შესაბამისი ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

7.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სხვა აკრედიტირებული პირის/ კომპანიის (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) დადებითი დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით. (მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის წარმოადგინოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საბანკო გარანტია).

7.3. სამუშოების შესრულების ადგილი: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ქ. ქუთაისში, ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორია (საკ. კოდით: 03.01.23.333), ხოლო აღნიშნულ მისამართზე ჭაბურღილის განთავსების ზუსტი ადგილი განისაზღვრება შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყების ეტაპზე.

7.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი.***

8. **საგარანტიო პირობები**

8.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებითა და მისი დანართებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

8.2. მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სარემონტო სამუშაოებზე ვრცელდება გარანტია: საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 6 (ექვსი) თვე.

8.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში შესრულებული სამუშაოებზე (საქონელზე) დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად დადგენილ ვადაში;

8.4. საგარანტიო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა;

8.5. შემსყიდველის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღიდან 6 თვის ვადით საბანკო გარანტიით დაკავებული იქნება მიწოდებული სამუშაოს ღირებულების 3%-ის ოდენობა.

8.6. აღნიშნული გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო ვადას.

8.7. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს სატენდერო დოკუმენტაციის 8.3 მუხლის მოთხოვნებს მაშინ გათვალისწინებული საბანკო გარანტია (მიწოდებული სამუშაოს 3%) დაბრუნებას არ ექვემდებარება.

8.8. მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება აღნიშნული საბანკო გარანტია ხარვეზების აღმოფხვრის ან/და 8.2 პუნქტში მოცემულ 6 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ.

9. **ანგარიშსწორება**

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში, უნაღდო წესით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შედეგად მხარეებს შორის გაფორმებული საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტისა, საბოლოო შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამი დადებითი დასკვნის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3. დაფინანსების წყარო: **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2021 წლის საკუთარი სახსრები.**

10. **ფორს-მაჟორი**

10.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. **მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას**

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2.ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;

11.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით

11.5. ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოების გადახდა მოხდება მიმწოდებლის მხრიდან ასანაზღაურებელი თანხიდანგამოქვითვის საშუალებით ან მისმიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობ ითი მოთხოვნის მიღებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

11.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობა**

12.1. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

12.1.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმების გაფორმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობა, რომლის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს მხარეს.

12.1.2. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

12.1.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

12.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს სამუშაოების მიწოდება;

12.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.2.4. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

12.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი. ასეთი შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

12.2.6. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა და თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

12.2.7. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

13. **დავა და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.** ხოლო შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადებთან დაკავშირებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება საგარანტიო ვადით.

15. **დასკვნითი დებულებანი**

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონულად დამოწმებული (ელექტრონული ხელმოწერა ან/და ელექტრონული შტამპი) ეგზემპლარი ორიგინალია.
15.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ მისი წერილობით გაფორმებისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"	**შპს „ტაინა"**
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	საიდენტიფიკაციო კოდი: 412700536
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150	მის: ქ. ქუთაისი მ. ბუხაიძის ქ. II მ/რ N29 ბ 43
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი : ს.ს "თიბისი ბანკი"
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE 24 TB 790 693 608 010 0004
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY Date: 2021.06.15 15:40:11 +04'00'	ტელ: 592 143 444
	ელ.ფოსტა: getiashvili.vasili@mail.ru
სააგენტოს უფროსი	დირექტორი
ანდრო ასლანიშვილი	ვასილი გეთიაშვილი
_____	_____

შეთანხმებულია:

_____	_____	_____
_____	_____	_____
_____	_____	_____

ქალაქ ქუთაისში ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ. კოდით: 03.01.23.333) სასმელი ჭის მოწყობის სამუშაოების ტექნიკური დავალება

მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების პროცესში პრეტენდენტის (შემდგომში მიმწოდებლის) მიერ გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ნიმუშები მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით შეიძლება დაწუნებულ იქნას შემსყიდველის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში შემსყიდველისათვის მისაღები სხვა ნიმუში, მასალა და მოწყობილობა. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები ობიექტის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად. სამუშაო ობიექტის, ადგილის გამოყოფა წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას; შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები: - მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

-სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო

მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან და ა.შ;

– სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებს. – სამუშაოებისათვის საჭირო მასალები უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ნორმებს.

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენბელო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

პრეტენდენტის ხელმოწერა

ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სასმელი ჭის მოწყობის სამუშაოების

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა დასახელება	განზ. ერთეული		რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მ/მექანიზმები		სულ
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3		4	5	6	7	8	9	10	11
1	**გრუნტის დამუშავება ხელით, მიმდებარე ტერიტორიაზე გაშლით**	$მ^3$		10.00							
-	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	3.88	38.800			6.25	242.50			242.50
2	**ჭის ბეტონის კედლების მოწყობა ადგილზე ჩამოსხმით (11მ-მდე გრუნტში და 1მ-მდე მიწის ზედა ნაწილი, შიგა დიამეტრით 0,7მ-მდე)**	**მ3**		**6.91**							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	19.7	136.127			6.25	850.79			850.79
	მანქანები	ლარი	1.12	7.74					4.00	30.96	30.96
	არმატურა	ტ		0.108	2,700.00	291.60					291.60
	ბეტონი ბ-25	მ3	1.015	7.01	120.00	841.64					841.64
	ფიცარი ჩამოგანული III ხარ. 25-32 მმ	მ3	0.168	1.16	580.00	673.31					673.31
	ფიცარი ჩამოგანული III ხარ. 40 მმ	მ3	0.127	0.88	580.00	508.99					508.99
	სხვა მასალები	ლარი	1.8	12.44	4.00	49.75					49.75
3	**ჭის დახურვა ლით. ფურცლით (სისქე 3მმ)**	**ტ**		**0.0185**							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	63.4	1.17			6.25	7.33			7.33
	მანქანები	ლარი	0.17	0.003145					4.00	0.01	0.01
	ლითონის სახურავის კონსტრუქცია	ტ		0.0185	3,500.00	64.75					64.75
	ლითონის სამონტაჟო სამარჯვეები	კგ	5	0.09	5.00	0.46					0.46
	ელექტროდი	კგ	0.12	0.002	5.00	0.01					0.01
	სხვა მასალები	ლარი	2.78	0.05	4.00	0.21					0.21
4	**ტუმბოს მონტაჟი (წარმადობა არანაკლებ 30ლ/წთ, ჭავლი არანაკლებ 30მ; „ტუმბო ტვინით", ელექსელში ჩართვა და წყალგაყვანილობაზე დაერთება)**	**კომპ.**		1							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	13.3	13.3			6.25	83.13			83.13
	მანქანები	ლარი	0.39	0.39					4.00	1.56	1.56
	წყლის ტვინიანი ტუმბო - წარმადობა არანაკლებ 30ლ/წთ , ჭავლი არანაკლებ 30მ;	კომპ.	1	1.00	350.00	350.00					350.00
	მილტუჩი	კომპ.	2	2.00	30.00	60.00					60.00
	სხვა მასალები	ლარი	1.58	1.58	4.00	6.32					6.32

5	წყალგაყვანილობის მოწყობა პოლიპროპილენის მინაბოჭკოვანი მილებით დ=25 მმ (ფასონური ნაწილებით)	გრძ.მ		30							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	1.17	35.1			6.25	219.38			219.38
	მანქანები	ლარი	0.0172	0.52					4.00	2.06	2.06
	პოლიპროპილენის მინაბოჭკოვანი მილებით დ=25 მმ	ცალი	0.938	28.1	2.50	70.35					70.35
	მუფტა	ცალი	0.16	4.8	1.00	4.80					4.80
	მუხლი	ცალი	0.08	2.4	1.00	2.40					2.40
	სამკაპი	ცალი	0.04	1.2	1.00	1.20					1.20
	გადამყვანი	ცალი	0.1	3.0	1.00	3.00					3.00
	სამკაპი გადამყვანით	ცალი	0.13	3.9	1.00	3.90					3.90
	სპეც შემაერთებელი	ცალი	0.31	9.3	4.5035	41.88					41.88
	სხვა მასალები	ლარი	0.0393	1.18	4.00	4.72					4.72
6	ვენტილების მოწყობა	**ცალი**		2							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	1.51	3.02			6.25	18.88			18.88
	მანქანები	ლარი	0.13	0.26					4.00	1.04	1.04
	ვენტილი 25 მმ	ცალი	1	2.0	20.00	40.00					40.00
	მილტუჩი	ცალი	2	4.0	8.00	32.00					32.00
	ქანჩი ჭანჭიკით	კგ	1.1	2.2	5.00	11.00					11.00
	სხვა მასალები	ლარი	0.07	0.14	4.00	0.56					0.56
	ჯამი					3,062.85		1,422.00		35.63	4,520.48
	მასალების ტრანსპორტირების ხარჯი	3%									91.89
	ჯამი										4,612.37
	ზედნადები ხარჯები	8%									368.99
	ჯამი										4,981.36
	გეგმიური დაგროვება	7%									348.69
	ჯამი										5,330.05
	დროებითი შენობა-ნაგებობები	0%									0.00
	ჯამი										5,330.05
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	2%									106.60
	ჯამი										5,436.65
	დღგ	18%									978.60
	ჯამი										6,415.25
	უკუბრუნი დროებით შენობა ნაგებობებზე	0%									0.00
	შესრულებულ სამუშაოებზე აკრედიტირებული საექსპერტო დასკვნის მომზადება	1 ცალი									84.75
	სულ საერთო ჯამი										6,500.00

შპს „ტაინა“-ს დირექტორი: _____ / ვ. გეთიაშვილი /

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი „ „ ივნისი 2021 წელი

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ქალაქ ქუთაისში, ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ.კოდით: 03.01.23.333) სასმელი ჭის მოწყობის სამუშაოების (CPV 45200000; CPV 45255110) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (NAT210009098) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტთან (**შპს „ტაინა", ს/კ 412700536**) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის წევრები:

---------- **თეა წულაია**

---------- **ეკა კუპრავა**

კომისიის აპარატის წევრები:

---------- **მიხეილ ჭვინაშვილი**

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი „ „ ივნისი
2021 წელი

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ქალაქ ქუთაისში, ქუთაისის მეტეოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკ.კოდით: 03.01.23.333) სასმელი ჭის მოწყობის სამუშაოების (**CPV 45200000; CPV 45255110)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე **(NAT210009098)** ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტთან (**შპს „ტაინა", ს/კ 412700536)** ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

---------- **ავთანდილ ქვაჩაკიძე**